

2014 წელს განხორციელებული შესყიდვების თაობაზე ინფორმაცია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 515277 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 3875499 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით წლის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 38 ტენდერი, აქედან 34 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 4 ელექტრონული ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 4. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 928871 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 32 ხელშეკრულება. 2014 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ გაფორმებული იქნა 347 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N34 განკარგულების შესაბამისად თანხა გამოეყო თბილისის ქუჩაზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის, კოსტავას ქუჩაზე გზის მოასფალტების, ცინცამის ქუჩაზე გზის მოასფალტების და რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის, კუპრეიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის, გურამიშვილის ქუჩაზე გზის მოასფალტებისა და რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესასრულებლად. სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის შედეგების შესაბამისად, 2014 წლის 10 ივნისს ხელშეკრულება გაფორმებული იქნა შპს „ჯი-აი-დი“-სთან. ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო ჩვენს მიერ 2014 წლის 3 ოქტომბერს შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის სახით შემსრულებლის მიერ გადახდილი იქნა 50400 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 8 ოქტომბრის N539 მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემსრულებელი შეტანილი იქნა შავ სიაში. ამავე სამუშაოების შესრულების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული იქნა შპს „სამკუთხედთან“. სამუშაოები მიმდინარეობს გრაფიკის შესაბამისად. ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 788363 ლარზე.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებით შესრულებული სამუშაოების შესახებ. ინფორმაცია ასახულია დანართი N2-ში.

2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 820984 ლარი. გამოყოფილი თანხა განაწილებული იქნა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებზე დასმული პრობლემების გათვალისწინებით. გამოყოფილი თანხით სულ სოფლებში დაფინანსდება 147 პროექტი. შემოღობვის სამუშაოებისათვის გამოყოფილი იქნა 145477 ლარი, რომლითაც სამუშაოები შესრულდება 27 ობიექტზე. სოფლის გზები შეკეთებისათვის გამოყოფილი იქნა 275321 ლარი. ექვს სოფელში მოსახლეობისთვის მოეწყობა მოსაცდელი, რომელზედაც დაიხარჯება 35405 ლარი. ჩვიდმეტ სოფელში სოფელში მოხდება ხიდების და მილხიდების რეაბილიტაცია, რომლისათვისაც გამოყოფილია 83607 ლარი. გარე განათების მოსაწყობად გამოყოფილი იქნა 58669 ლარი. სანიაღვრე არხების მოსაწყობად გამოყოფილი იქნა 61293 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულებების პირობების დაცვით. პირობების დარღვევისთვის არც ერთი მომწოდებელი არ დაჯარიმებულა. ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სამუშაოების შესახებ ასახულია დანართი N3-ში.